ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 149

"22" მაისი 2015 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-ანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს "უძრავი ქონება - თბილისის" მიერ მის სარგებლობაში (უზუფრუქტუარი) რიცხულ, ქ.თბილისში არსებულ ზოგიერთ მიწისქვეშა გადასასვლელში სარემონტო სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით კომპანიის კაპიტალში ფულადი შენატანის განხორციელებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე

შპს "უძრავი ქონება - თბილისის" ადმინისტრაციამ 2015 წლის 5 მაისის №QN1307246 და №QN1307359 განაცხადებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის წინაშე დასვა საკითხი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რიცხული, ზოგიერთი მიწისქვეშა გადასასვლელის კეთილმოწყობის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების კანონის შესაბამისად შეიძინოს დანართით გათვალისწინებული სავარაუდო ღირებულების სარემონტო სამუშაოების მომსახურება და ამ მიზნით ითხოვა დამფუძნებლის მიერ კომპანიის კაპიტალში ფულადი შენატანის განხორციელებაზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის, წინასწარი წერილობით თანხმობა, ამასთანავე ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რიცხული, ზოგიერთი მიწისქვეშა გადასასვლელის კეთილმოწყობისათვის საჭირო დაფინანსების წყაროს მოძიება და კომპანიის კაპიტალში ფულადი შენატანის განხორციელება ეტაპობრივად, სახელმწიფო შესყიდვების კანონის შესაბამისად, დანართში მითითებული მიწისქვეშა გადასასვლელების კეთილმოწყობის მიზნით სარემონტო სამუშაოების მომსახურების მიღებაზე გაფორმებული ხელშეკრულების ღირებულების გათვალისწინებით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის 127-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „მეწარმეთა შესახებ"

საქართველოს კანონის 9[1] მუხლის საფუძველზე, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას 2015 წლის განმავლობაში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რიცხულ, შპს "უძრავი ქონება - თბილისის" (ს/კ 203826173) სარგებლობაში (უზუფრუქტუარი) არსებულ დანართით გათვალისწინებულ მიწისქვეშა გადასასვლელების კეთილმოწყობის მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის შესაბამისად დანართით გათვალისწინებული სავარაუდო ღირებულების სარემონტო სამუშაოების მომსახურების შესაძენად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-ანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ კომპანია, შპს "უძრავი ქონება - თბილისისთვის" (ს/კ 203826173) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტით „მიწისქვეშა გადასასვლელების მოვლა-პატრონობა და რეაბილიტაციის ღონისძიებისთვის", კოდი 2.8, გათვალისწინებული ასიგნებების, 61 031 (სამოცდაერთი ათას ოცდათერთმეტი) ლარის და 87 თეთრის, ფარგლებში კაპიტალში ფულადი შენატანის განხორციელებაზე, ეტაპობრივად, სახელმწიფო შესყიდვების კანონის შესაბამისად, დანართში მითითებული მიწისქვეშა გადასასვლელების კეთილმოწყობის მიზნით სარემონტო სამუშაოების მომსახურების მიღებაზე გაფორმებული ხელშეკრულების ღირებულების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით..

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი